

# მწვემსი



მე ვარ მწვემსი კეთილი: მწვემსიან კეთილმან სული თვისი დასაღვინ ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
შპვე ცხოვარი ჩემი წაწყვედული. მსრეთ იყოს სისარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.  
შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტერით-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 — 28.

№ 22

1883—1904

30 ნოემბერი

## რედაქციისაგან.

რედაქცია ქურონალის «მწვემსი»-ს მორჩილად სთხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ჯერეთ კიდევ ქურონალზე ხელის მოსაწერი ფული არ წარმოუდგინათ დაუხარონ ფულების გამოგზავნას. ვისაც სურს დაკვეთა ქურონალისა მოძავალ წლისათვის მით უნდა წინდაწინვე წარმოადგინონ ხელმოსაწერი ფასი. ვრცელი განცხადება ქურონალის დაკვეთასე იხილეთ მეთუთხმეტე კვერდზე.

## ორიოდ სიტყვა რუსეთის იმპერიის ეპარქიების სავალდებულო და არა სავალდებულო სასულიერო შურნალის შესახებ.

თითქმის მთელი რუსეთის იმპერიის ყველა ეპარქიაში არიან დაარსებულნი პერიოდული გამოცემანი, ესრეთ წოდებულნი ეპარქიალური უწყებანა. ზოგიერთების პროგრამები ამა გამოცემათა განსაკუთრებით მშვენიერად არიან შედგენილნი ბეგრ რამე სიკეთეს უქადიან სამღვდლოებას გონებითი განვითარების მხრით და ბეგრ მუშაკებსაც ითლიდენ ეპარქიაში სალიტერატურო ასპარეზედ. ყოველი განკარგულება ადვილობრივი დ მალალი მთავრობისა მხოლოდ ამ უწყებათა საშუალებით შეეძლო გაეგო სამღვდლოებას, ყოველივე მღვდომარება ეპარქიის სასულიერო სასწავლებელთა ამ ორგანოებით უნდა შეეტყო; ყოველივე მოძრაობა სახელმწიფო სამსა-



ხურისამებრ ამ უწყებათა საშუალებით უნდა გაეგო, ამას გარდა სამღვდლოებს ამ ორგანოთა საშუალებით უნდა შეეტყო ყოველივე ის რაც ასე საჭიროა მისი განვითარებისათვის. ერთი სიტყვით ამ უწყებათა უნდა შეეტყობინებია სამღვდლოებისათვის ხალხის ცხოვრების მიმდინარება თავის ეპარქიაში და მთელს სახელმწიფოში. როცა კითხულობ ამ გამოცემათა პროგრამებს გული გეცხება კაცს სიხარულით, რომ ეს პროგრამები ბევრს რამეს პირდებიან სამღვდლოებს. ამით გარდა ეპარქიის კანცელარიებში ისპობო და სხვადასხვა უბრალო მიწერ-მოწერილობა და ხ. ჯიც ვითომ მტკრდებოდა. დაკანონებულია ამ გამოცემათა გამოწერა ყოველი კრებულისაგან ეკლესიის ფულთა. რომ ვიანგრიშოთ საშუალოდ, ამ გამოცემებზე წლიური ხელის მოსაწერი ფული ექვს მანეთამდე ავა. ამას წინეთ ერთი სტატისტიკური ცნობა აცხადებდა, რომ რუსეთის იმპერიაში დღეს 40,000-მდე კრებულის შტატი არისო და აქედამ გამოდის რომ  $40,000 \times 6 = 240,000$  მან. ამას დაუმატოთ მონასტრები და გარეშე პირების ხელმოსაწერი ფულები და მაშინ 300,000 მანეთს შეადგენს წლიური ხარჯი ამ გამოცემათა გამოწერისათვის. ხარჯი კარგა საგრძნობელია.\*)

ამ ეპარქიის უწყებათა გამოცემა უმეტესად გავრცელდა 1860 წლებიდან, როდესაც საერო წოდებაში სხვა-და სხვა რეფორმები შემოიღო ღვთაგანსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ. ზოგიერთ ეპარქიებში, რასაკვირველია, მღვდელთმთავრების დახმარებით და მაცადინობით ეს გამოცემანი ჯეროვან სამსახურს უწყევს ეპარქიის სამღვდლოებს. მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესობა ამ პერიოდულ გამოცემათა სრულებით ვერ აკმაყოფილებს სამღვდლოებს და ვერც თავის მიზანს აღწევს. დღესაც, სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი ამ გამოცემათა ისე უფერულად გამოიცემა, რომ სამსრულებით არ აკმაყოფილებს სამღვდლოებს.

ამ გამოცემათა გარდა რომ არ გამოიდიოდეს სხვა არა ოფიციალური გამოცემანი, არა სავალდებულო, და ამ უკანასკნელებით არ კმაყოფილდებოდეს სამღვდლოება მაშინ გონებით განვითარება სასულიერო წოდებისა ერთ წერტილზე იქნებოდა შეჩერებული. მაგრამ სასიხარულოდ დიდი ხნიდან არსე-

ბობენ სხვადასხვა არა სავალდებულო ჟურნალები, როგორც მაგალითებრ: „Церковный вѣстник“, „Странник“, „Пастырскій собесѣдник“, „Вѣра и разумъ“, „Кормчій“, «Новій путь» და სხვანი, რომელთა წყალობით ყველა ნაკლი ეპარქიალურ გამოცემათა დაფარულია. ეს არა სავალდებულო ჟურნალები უფრო საინტერესო და რიგიანად გამოიკვებიან და დიდი დახმარება შეუძლიათ სამღვდლოების გონებით განვითარების საქმეში. სავალდებულო გამოცემანი კი მოკლებულნი არიან ყველა ამას.

რა მიზეზია რომ ეს სავალდებულო ჟურნალები ასე უფერულად გამოიკვებიან? ამის მიზეზი არის უმთავრესად ის, რომ რედაქტორები ოფიციალურად ინიშნებიან და დაიმედებულნი ყოველ წლობით ხელისმომწერლებზე ადარ მაცადინობენ შრომა მიიღონ და გამოცემა საინტერესო საკითხავად გახადონ. ოფიციალური ნაწილის გასაძვებად დიდი შრომა არა სჭირდებოდათ, რადგან სულ უბრალო მწერარს შეუძლია გადაწერა და გაგზავნა კონსისტორიებისაგან იმ ცნობებისა რაც მას შინა იბეჭდებიან. რაიცი შეეხება ამ გამოცემათა არა ოფიციალურ ნაწილის მასალას ამასაც რედაქტორები ადვილად შოულობენ. ამ ნაწილში სიტყვები და ქაღალეუანი იბეჭდებიან უმეტეს ნაწილად.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ გამოცემათა მეტი ადგილი დაუთმეს სხვ-ღ-სხვა მეუფეროსე პირთა ქება-ადების შესხმას. სამღვდლოების განვითარების საქმე, სარწმუნოების და კეთილ ზნეობის ამოღების და განმტკიცების და სხვანი, და სხვანი, და სხვანი კი უყურადღებოდ რჩებიან!..

მთელი რუსეთის იმპერიის ეპარქიებში, რომ ვიანგრიშოთ ყოველ წლობით სამღვდლოების და ეკლესიის ფულები იხარჯება როგორც ესთქვით 300 ათასი მან. სავალდებულო ჟურნალებში ყველაზე ნაკლები ფასი აქვს სინოდის ოფიციალურ გამოცემას, რომელიც კვირაში თითოჯერ გამოდის და ღირს სამ მანეთად. სინოდის ოფიციალური გამოცემის დამატებები ღირს მარტო სამ მანეთად და გამოცემა სწორეთ მუქთად მოუდის სამღვდლოებს. იგი სავალდებულოა ყველა სამღვდლოებისათვის და დიდად საჭირო და სასარგებლოც არის ყველა მღვდლისათვის. ამ გამოცემებიდან ტყობილობს ყოველი მღვდელი უმაღლეს სასული-

\*) ამ სტატის წერის დროს ჩვენ სრულებით არ ვგებოთ ჩვენი ქვეყნის სასულიერო სავალდებულო გამოცემას.

## მწარამ შვიძრბი.

ერო და საერო მთავრობის განკარგულებათ და რაღა საქიროა ესევე ცნობები განმეორებით იმქედბოდენ ენაქიადლორ გამოცემებში? დღემდის ვერ გავივია.

ერთ დროს სინოდის გამოცემის რედაქტორთან დეკ. პ. სმირნოვთან ჩვენ გვექონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ასე ცოტას იწერენ იმერეთის და გურია-სამეგრელოს ენაქიათა სამღვდლოება. რედაქტორმა გვითხრა ჩვენ, რომ თურომელიმე ლარბი ეკლესია ვერ იწერს სიღარბისაგამო და მღვდელს კი სურს მისი კითხვა, თუ ამ სიღარბებს დაამოწმებს მღვდელთ-მთავარი და გამოგიცხადებს მღვდლის სურვილს, ჩვენ უფასოთ გაღზავნით გამოცემასაო. ზოგიერთ ენაქიებში კი თუ ფულები არ მოიძიება ეკლესიაში მღვდელს ურიცხავენ ჯამაგირებიდან საენაქიო ჟურნალებისთვის! ამაზე მეტი უკანაობა იქნება!

უკანასკნელ დროს ზოგიერთ ენაქიებში ყურადღება მიაქციეს ენაქიადლორ სავალდებულო გამოცემათა უფერულ მდგომარეობას და აღძრეს კითხვა ამ გამოცემათა გაუმჯობესობის შესახებ. მაგრამ დღემდის ვერა მოახერხეს რა, რადგან თვითველი ენაქია თავისთვის ფიქრობს და ერთად ყველანი ვერ შეთანხმდენ. ერთხელვე აბრუნებული ჩარხი ისე ვერ აქანებულა, რომ მისი შეწერება და სხვა რიგად აბრუნება ყ-ღ შეუძლებელია მცირეს დროში. დიდი დრო გაივლის ენაქიადლორ გამოცემათა გაუმჯობესობამდინ. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი სამღვდლოება არ სარგებლობს სხვა არა სავალდებულო ჟურნალებით, რომელნიც დღეს რუსეთში კარგა ბლომად გამოდიან. ვერ გაემატუნებთ ჩვენ ძველ მღვდლებს, რომ მათ არ გამოიწერონ ეს სახარებლო ჟურნალი, მაგრამ სემინარიის კურს დამთავრებულ მღვდლებს კი არ მიეტევება მათი გამოუწერლობა.

ჩვენ დღემდინ განვიზრახეთ უფრო მეტი ცნობები ვადმოგებედით ჩვენ ჟურნალში ამ რუსულ სასულიერო ჟურნალებიდან და ვსთხოვეთ ახალ ნასწავლ მღვდლებს მიიღონ შრომა შრომა თარგმნისა და დაეხმარონ გონებით განვითარების საქმეში თანთან თანამომედო.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

დიდი ხანია ჩვენი მწარე ფიქრები არ გამოგვითქვამს. მაგრამ ეს მიტომ კი არა, რომ ვითომ მწარე საფიქრებლი არა იყოს-რა არა, ყოველ დღე მწარე ფიქრები კაცს გიშმაშავს გულს. მაგრამ უბედურება ის არის კიდევ, რომ ნება არა გავქვს თავისუფლად გამოსთქვა ის, რისიც თქმა გინდა და ეს უმეტესად ვაწულებს. არა მჯერა, რომ ისეთი უბედური დრო, როგორიც დღეს არის, ოდესმე ყოფილიყოს... მიიხედ-მოიხედეთ, დააკვირდით ხალხის ცხოვრებას და მათ საქციელს, ხალხის აზროვნებას და მათ მიმართულებას. რას დინახავთ სანუგეშოს? სრულებით არაფერს. გადავლეთ თვალი აღმოსავლეთის მხარეს, რა ხდება იქ? ყოფილა ოდესმე ასეთი ომიანობა, ასეთი სისხლის დღვა და უწყალო ხალხის ქლექა? ვგონებ არასოდეს.

ზოგიერთი რუსული გაზეთის რედაქტორები ამტკიცებდნენ, რომ ეს ომიანობა ორ-სამ თვეს იქით ვათავდებოდა; ეს ომი კორეიასა და ტოკიოსკენ გასერიანება იქნებოდა! ერთად-ერთი თავადი მეწერსკი არცხვენდა ომის დაწყების დროს ამ უეცრ რედაქტორებს, ამტკიცებდა რომ მათ არა ვაგვეგოდათ-რა ამ ომიანობისა. მართლაც არ იცოდენ თუ რამდენად დაუჯდებოდა რუსეთს ეს ომი. ჩვენი კუთხის გაზეთებიც სხვა რუსის გაზეთებს აყვენ და ისინიც თუთიყუშებივით გაიძახოდენ, რომ ოთხ თვეს იქით ვეღარ შესძლებს იაპონია ომსაო. დღეს აგერ ათი თვე გავიდა და რუსეთის ძლევა-მოსილი ჯარი კიდევ ვერ ბედებს იაპონიის ჯარზე იერიში მიიტანოს, რადგან, როგორც ამბობენ, ისინი კიდევ მეტია ჩვენ ჯარზე!..

მე ვგონებ ყოველი უსწავლელი კაცისათვისაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს ომი ძნელი იქნებოდა რუსეთისათვის. ათი ათასი ვერსის სიშორეზე ომის დაწყება, რომ ამ სიშორე გზით ჯარისა, სურსათის და საომარი იარაღის გადაზიდვა მეტის-მეტად საძნელი იქნებოდა, ვინ არ უნდა მიმხდარიყო?

რუსეთის გაზეთებში ყველაზე უკვეთესად მიხება ამ სიძნელეს თავადი მეწერსკის გაზეთი და ჩვენი კუთხის გაზეთები ყველაზე უკეთ მიხება „მწყემსი“-ს ორგანო, რომელმანაც ომის შესახებ თავის მთავარ თანამშრომლის, სოფლის ხუცის მწარე ფიქრები დაბეჭდა და წინასწარ გამოთქვა

ყველა ის სიძნელე ამ ომიანობისა, რომელსაც სხვა გაზეთები ვერ მიხედნენ. აი რას სწერდა ეს ორგანო თებერვლის დამლევს ომის შესახებ, რომელიც სხეე-ბის ფიქრით ოთხ თვეში უნდა დასრულებულიყო:

«ქვეშაირტად მართალი სთქვა თავადმა მემზერსკიმ, რომ ჩვენი ჟურნალ გაზეთების რედაქტორები გაგიჟდნენ და რაღასაც სწერენ, აღარ იციანო. მართლაც, რომ დააკვირდე კარგათ მათ ნაწერებს და მათ მსჯელობას ომის შესახებ, გაგიკვირდებათ. ეს ომი ისე ადვილად მიანათ, როგორც ომები ახალტყევეს და კასპიის ზღვის იქითა მხარეს. ომიანობა ადგ ად მიანინათ ამისთანა შორეულ ადგილას! მართალია რკინის გზა არის, მაგრამ ამ სიშორეზე ჯარების, მათის სურსათით და ყოველივე საჭირო ნივთებით გადაზიდვა სამძიმოა. ცხადი და აშკარაა, რომ იაპონიას ერთი და ორა სახელმწიფოც რომ კიდევ მიემატოს, ვერ გამოიყვანს იმდენ ჯარს, რამდენსაც რუსეთი გაიყვანს ომის ველზე. ცხადია, რომ რუსის სალდათი მამაცი, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღებას.

უკანასკნელ ომიანობის დროს სათათრეთთან ომის ველზე სამი გენერალი მოკვდა, მაგრამ შვიდი გენერალი სახადი ავადმყოფობით, ხურვებით გარდაიცვალენ. არასოდეს არ იხოცებთან იმდენი სალდათები ჭრილობით ჩხუბში, რამდენიც სახადი ავადმყოფობით, ღე ისე უმარად. ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის ომის დრომდე გამოანგარიშებული იყო ოკლდათი ათასი კაცი მომკვდარი ომში, მაგრამ ამავე დროის გამოანგარიშებით ექვსასი ათასი კაცი იყო მომკვდარი სხვა-და-სხვა გადამდები სნეულობით და დაჭრილთა მოუვლელობით. 1812 წელში რუსეთში შემოვიდა ნაპოლეონი თითქმის ნახევარი მილიონი ჯარით. ომში მას სულ ორტა დაესოცა, რადგან ჩხუბი მაინც-და-მაინც ბევრი არ შეხვედრია, მაგრამ ასი ათასობით ეხოცებოდა სალდათები ხურვებით და მუცელათი. მოსკოვში როცა შევიდა ნაპოლეონი მესუთელი ნაწილი სალდათებისა აკლდა. საზოგადოდ გამოანგარიშებულია, რომ ჩხუბში ომის ველზე ერთს მოკლულზე ექვსი კაცი კვდება სხვა-და-სხვა უბრალო ავად-მყოფობით. მართალია ეხლანდელი დროის ჯარის კაცთა მოვლისა და ექიმობისა სულ სხვაა და წინეთ სხვა იყო, მაგრამ დიდ ყურადღების მიქცევაა საჭირო ჯარის კაცთა ჯანმრთელობაზე და საზოგადოდ მათ სანიტარულ მდგომარეობაზე.

უკანასკნელ სათათრეთთან ომის დროს პლევანაზე თავდასხმის დროს დაიხოცნენ სალდათები შემსამწევად, თორემ სხვა ადგილებზე ჩხუბში იმდენი არ დახოცილან არც ერთ ადგილას რამდენიც უჩხუბრად ბალკანის მთაზე ზამთარში დაიხოცენ. ჩვენის ფიქრით ბალკანეთის ადგილები უფრო ბევრად საადვილო მისახვევი იყო ვინემ კორეის და იაპონიის ადგილები...

საქმე ის არის, რომ ყოველივე სიძნელე ომისა წინაწინ უნდა შეიტყოს კაცმა, თორემ ომის გათავების შემდეგ ყველა კი გაიკვებს წაწარე გამოცდილებითა. ყველა უნდა ხედავდეს, რომ ის ომი რუსეთისათვის მეტის მეტად საძნელოა სიშორისა გამო. რკინის გზა ვერ შესძლებს ჯარებისა და საჭირო ნივთების გადაზიდვას. არ გვეჯერა რომ ბოლოს ინგლისმა და ამერიკამ დახმარება არ გაუწიოს იაპონიას, რადგან ამ სახელმწიფოთა ინტერესები მოითხოვენ, რომ იაპონია არ დამარცხდეს. თუ იაპონელებმა მუკდენი და პორტ-არტურის აიღეს ომის საქმე სულ სხვანაირად შეიცვლება.

სოფლის ხუტკისი.

(შემდეგა იქნება)

**შუჩნალ-გაზეთებიდან.**

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. რა ამავი მოხდება დიდ ოკენეში, როცა იქ რუსეთისა და იაპონიის ფლოტი შეხვდებიან ერთმანეთს? საზღვარ-გარედ მესვლურთა და სამხედრო წრეები ჰვიქრობენ, რომ ისეთი „საშინელი ამავი“ მოხდება, როგორც ჯერ არც ერთ წარსულ ომის დროს არ მომხდარიყოს. ზოგი ჰვიქრობს, აღმირად როკესტვენსკის ბრძოლა აღმირად ტრაგოსთან საბოლოოდ გადასწყვეტს ომის ბედს, ზოგის აზრით-კი, ეს ბრძოლა ომის ბედს ვერ გადასწყვეტს, გე-კია, რომ ამ ბრძოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება და დიდ გავლენას იქონიებს ომის მიმდინარეობაზე. ყველანი მოუთმენლად ელიან რუსისა და იაპონიის ფლოტის შეხვედრას. უცხოეთის გაზეთები ორსავ ფლოტის ძალას იკვლევენ, ანგარიშობენ, ვინ რამედენ ზარბაზნს დაუშენს მოპირდაპირეს, იძიებენ, ვის უფრო ნიჭიერი აღმირალი ჰყავს და ეხლავე

ცდილობენ გამოცნობას, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.

უცხოეთის გაზეთების ანგარიშით, აღმირალ როკესტვენსკისა და აღმირალ ტოგოს დიდ ოკეანეში თითქმისა თანასწორ ძალის ფლოტი ეყოლებათ. რუსის ბაირალი 6 ჯაფშნიან გემსა, 4 კრეისერსა და 24 ნაღმიან გემზე იქნება გაშლილი; სულ რუსებს 151,704 ტონა წყალ-წყვეის ფლოტი ეყოლებათ. უცხოელი მეზღვაურები ამბობენ: „პორტ-არტურის ფლოტი, ვინდ იმ დრომდე დარჩეს რამე კიდევაც ამ ფლოტიდან, ანგარიშში ჩასაღებია არაა. თუ მანამდე იაზონელები პორტ-არტურს აიღებენ, რასაკვირველია, გენ. სტესელი ამ გემებს ააფეთქებს, და თუ თავზე ხელს აიღებენ და ზღვაში გასვლას გაბედავენ, ან აღმირალი ტოგო ჩასძირავს ამ გემებს, და ან, თუ როგორმე ბედმა გაუღიმათ და გაქცევა მოასწრებს, რომელსამე ნეიტრალურ პორტში უნდა შეაფარონ თავი და იარალი აიყარონ. ასე მოხდება, თუ ისე. პორტ-არტურის ესკადრა რუსის ფლოტს ვერაფერ დახმარებას ვერ გაუწევს და ძალა ვერ მოუმატებს. პორტ-არტურის ესკადრაზე რუსის ფლოტისათვის ვაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს იმ სწრაფ-მავალ გემებს, ლიბავაში რომ დარჩნენ და ესლა გაუღდენ გზასა (დღი-ოკიანის მეორე ესკადრის მესამე რაზმი). მესამე რაზმისა და ვლადივოსტოკის კრეისერებიც რომ ვიანგარიშითა, რუსის ფლოტს დიდ-ოკეანეში სულ 251,704 ტონა წყალ-წყვა ექნება.

ესლა ვნახოთ, რა ძალა აქვს იაზონის ფლოტს. აღმირალ ტოგოს დაახლოვებით 4 ჯაფშნიანი გემი, 7 ჯაფშნიანი კრეისერი, 14 კრეისერი და 30 ნაღმიანი გემი ჰყავს, სულ 184.029 ტონა წყალწყვეის ფლოტი ჰყავს, რუსის ფლოტს სულ 639 დიდი და წვრილი ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი და 80 ნაღმის სასროლი აპარატი აქვს. იაზონელებს ცოტა ევტი იარალი აქვთ: 762 ზარბაზანი და 90 ნაღმის სასროლი აპარატი აქვთ. ეგაა იაზონელებს უფრო წვრილი ზარბაზანი აქვთ მეტი, დიდი ზარბაზანი-კი რუსებზე ნაკლები აქვთ: იაზონელებს 421 დიდი ზარბაზანი აქვთ, რუსებს 523.

მეზღვაურები რუსის გემებს 10 ათასი კაცი ჰყავთ, იაზონელებს—11 ათასი კაცი, რუსის ფლოტს წინამძღოლობენ ვიცე-აღმირალები როკესტვენსკი და სკრიდლოვი ჭ კონტრა-აღმირალები ფალკერზაში,

ენკისტი და ვესელაგო. იაზონის ფლოტს წინამძღოლობენ, ვ. ცე-აღმირალი ტოგო და კონტრა-აღმირალი კაბიმურა, დევა, და შიბა, ურეი, იამამატო, კატაოკა და ტოგო უმცროსი. რუსის ფლოტს ჯაფშნიანი გემი ორით მეტი ჰყავთ იაზონელებზე, მაგრამ უცხოელი მეზღვაურები ამბობენ, იაზონის კრეისერებს მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე რუსის კრეისერებსაო. ნაღმიანი გემები ორსავ მხარეს თითქმის თანასწორ ღირსებისა ჰყავთ; თუმცა იაზონელებს ცოტა მეტი ნაღმიანი გემი ჰყავთ, სამაგიეროდ რუსის ნაღმიანი გემები უცხოელ მეზღვაურებს უფრო ძლიერ გემებად მიაჩნით.

ერთი ინგლისელი მეზღვაური ჰფიქრობს, იაზონის ფლოტი 9 თვეს სულ ზღვასა და ბრძოლაში ატარებს და ამიტომ აღმირალ ტოგოს ესკადრა «უფრო დაღალული» იქნება; ვიდრე აღმირალ როკესტვენსკისაო. იაზონის გემები ესლა ისე სწრაფად ვეღარ ივლიან, როგორც წინა დიდობიდან. ჩინეთის ზღვის მლაშე წყალი ძლიერ ახდენს გემებს, — ეს ყველა მეზღვაურმა იცისო.

რა მოუვათ რუსის გემებს გზაში და რა ყოფაში იქნებიან, როცა შორეულ-აღმოსავლეთს ჩავლენ, ამაზე აქ არას ვიტყვი, ეგაა რუსებს ზარბაზნები-კი სულ ახალთ-ახალი, ხელ-უხლებელი ექნებათ: მართალია აღმირალი ტოგოც შეაკეთებს თავის ზარბაზნებს, მაგრამ იმის ზარბაზნებს მაინც წინანდელი ძალა აღარ ექნებათ. ყველა დიდ ზარბაზნის გამოცვლა და ახლების დადგმა გემებზე შეუძლებელია; ორიოდ გემზე თუ დასდგამენ ახალ ზარბაზნებს, თორემ მეტზე ვერა.

ესლა ვნახოთ, ვის როგორი აღმირალები ჰყავთ, აღმირალი ტოგო უცილობელად გულადი, მოხერხებული და ნიჭიერი მეზღვაურია. თავისი მოვალეობა ჭ მინდობილი იქნებ კარგად შესრულია: პორტ-არტურის ფლოტს ძალა და მნიშვნელობა დაუკარგა, პორტ-არტურის ნავთ-სადგურს ალყა შემოარტყა, სტრანსპორტო გემებს ზღვაში თავისუფლად სიარული შეაძლებინა, ერთის სიტყვით იაზონია ზღვაში გაბატონა. აღმირალ მაკაროვის დაღუპვამ და რუსის ესკადრის დამარცხებამ დიდი სახელი მოუპოვეს აღმირალ ტოგოს.

დიდ ოკეანეს რუსი ესკადრის აღმირალი როკესტვენსკი წინამძღოლობს. უცხოელი მეზღვაურები აღმ. როკესტვენსკისაც გამოჩენილ მეზღვაურად



სთვლიან, მეტად გულმტკიცე, ღინჯი და ამავე დროს გაბედული კაციოა. (რ. ლ.)

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წყრილში იაპონიის ფლოტის გემები სწორედ არაა ნაანგარიშგები. აღმირალ ტოვოს 8 ჯავშნიანი კრესერი ჰყავს და არა 7, ნაღმიანი გემიც 30-ზე გაცილებით მეტი უნდა ჰყავდეს. დასასრულ, იქნება პირველი კლასის ჯავშნიანი გემიც 5 ჰყავდეს და არა 4, რადგან „იაშიმა“-ს დაღუპვის ამბავი ზევს არა სჯერა.

**ამის ამბები.** იაპონური გავ. „ასახი“ სწერს: როცა რუსის ესკადრა პორტ-არტურისგან გავა, იქ ერთი სამხედრო გემი აღარ დარჩება. სამხედრო პორტი უფლოტთა კი ისე იქნება, როგორც ეკლესია უხატად. (რ.)

დღემშილად ვიცით, რომ იაპონელებმა პორტ-არტურთან „203 მერტიან გორის“ ფორტი აიღეს. ეს ფორტი, ამბობენ, ერლუნგშანს ახლო მდებარეობს, რკინის გზის აღმოსავლეთით და ზემოდან დასაცქერის მთელ ნავთ-სადგურსაო. ასე რომ ესლა იაპონელები მთელ ნავთ-სადგურს დაუშენენ ზარბაზანს და რუსის ესკადრას ისე გაუჭირებენ საქმეს, რომ ან უნდა ზღვაში გავიდეს, ან გემები აფეთქოლა. ყველაფერიდან სჩანს, რომ იაპონელები უმთავრესად რუსის ესკადრის განადგურებას ცდილობენ; ამ ესკადრის თავიდან მოშორება უნდაა.

«რუსკია ველომისტ»-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: «იაპონურ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 13 ნოემბერს აქეთ რუსის მეციხოვნე ჯარი უფრო ღიდ განსაცდელში ჩაგარდნილა. იაპონიის მთავარ-შტაბს ამის მეტად არ გამოუცხადებია, რომ პორტ-არტურის საერთო შტურმი დაიწყო; იაპონურ ოფიციალურ ცნობებში აქამდე მხოლოდ თითოეულ ფორტის შტურმსა და მისამზადებელ სამხედრო საქმეებზე იყო ხოლმე ლაპარაკი. რაკი იაპონიის მთავარმა შტაბმა გამოაცხადა, პორტ-არტურის საერთო შტურმი დაიწყო, ცხადია, იაპონელებს ესლა მტკიცედ აქეთ გადაწყვეტილო, პორტ-არტურს უსათუოდ ბოლო მოუღონ. ყველაფერიდან სჩანს, რომ პორტ-არტურთან ესლა ღიდად მნიშვნელოვანი ამბები ხდება; სხვათა შორის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ესლა, როგორც დაღნიდან იუწყებიან, გენ. ნოვის არმიას ნამდვილად მარშალ ოიამის შტაბის უფროსი გენ. კოდამა (გენ. კოდამის მოვალეობას მანჯურიაში, ეტყობა, იმისი თან-

შემწე ცნობილი გენ. ფუკუშიმა ასრულებს) უწევს ხელმძღვანელობას. გენ. კოდამის უთქვამს, ნოემბრის დამდევს გენ. ნოვის 70 ათასი კაცი ჰყავდაო, ისე იგი 31/2-ჯერ მეტი, ვიდრე რუსებს ჰყავთ ზოდე არტურში. გენ. ნოვის მინიმალურად 80-85 ათას კაცზე მეტი არა ჰყავს, მაშ ცხადია, რომ ყველა ის ხმა, ვითომ გენ. ნოვის ჯარის ნაწილი მანჯურიაში გაგზავნათ, ტყუილი უნდა იყოს“.

იაპონური გავ. „ასახი“ (ამომავალი მზე) ამტკიცებს, იაპონიის ჯარი უსათუოდ აიღებს პორტ-არტურსაო. ვაზეთი სწერს: «მართალია ჩინელები სრული ორი თვე იღებდენ პეკინში უცხოეთის საელჩოებს და ვერ აიღეს, მეგრამ იაპონელები ჩინელები როდი არიან. ექვი არა გვაქვს, ჩვენ უსათუოდ გვიმარჯვებთ, თუმცა რუსებმა ღიდი და მოულოდნელი ხელგობა გამოიჩინეს. ჩვენ მტრებს იმედი აქვთ, პორტ-არტური მიუვალი ციხეა ღ იმისი აღება შეუძლებელიაო. დაგვიმარჩილდება, თუ არა, ეს ციხის უფროსის (გენ. სტესელის) ნებაა, მაგრამ ციხის აღება ჩვენ ხელშია და უსათუოდ ავიღებთ კიდეც.

კორესპონდენტები ერთხმად იუწყებოდნენ, გენ. კუროკის არმია წინ მიდის და რუსის არმიას მარცხენა ფრთიდან შემოგვსა უხირებსო. «რუსკია ველომისტ»-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: იაპონელებმა პორტ-არტურთანაც გააძლიერეს მოქმედება და ამავე დროს მარშალ ოიამის არმიასაც მიაშველეს ჯარი მანჯურიაში. რუსულ გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, ინკოლად მოსული უცხოელები და ჩიველები ამბობენ, მარშალ ოიამის ოქტომბერში 60 ათასი კაცი და 40 ზარბაზანი მოუვიდა იაპონიიდანაო. მარშალ ოიამას ესლა სულ 360—370 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს გენ. კუროპატკინის 340—350 ათას კაცის წინააღმდეგ. ასე რომ მარშალ ოიამის არმია ცოტათი სჭარბობს რუსისას, ამიტომ არა მგონია, რომ იაპონელებმა ესლავე იეროში მიიტანონ რუსის არმიაზე; მგონია, იერიშის მიტანას მარშალი ოიამა, მხოლოდ პორტ-არტურის აღების შემდეგ გაპბედავს. მაგრამ სანამ მთელის არმიით საერთო იერიშს მოიტანდეს, მარშალი ოიამა, ეტყობა, ცდილობს, თვისი განაპირა მარჯვენა ფრთა (გენ. კუროკის არმია) წინ წასწიოს და რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან დაუყენოს. თუ მერე იაპონელების უმთავრესი ჯარი



გენ. კუროპატკინის უმთავრეს ჯარს დასძლევს, გენ. კუროკის არმია გზას უყულებს და უკან აღარ გაუშვებს. სანამ გენ. კუროკის არმია წინ წაიწევეს, იაპონელების ჯარი ისევ თავის პოზიციებზე იდგებოდა და იქნება მდ. შახეზე სისრულე ჯერ კიდევ რამდენიმე ხანს არ დაიარღვეს, ეტყობა, მომავალ იერიშის დროს გენ. კუროკის არმია დიდ როლს ითამაშებს. „რუსეთს სლოვო“-ს კორესპონდენტის იუწყებოდა დღევნაობით, რომ რაც მამული ჯარი მოუყვება, მარ-შალომა ითამაშე სულ გენ. კუროკის გაუგზავნა ბენ-სიუხეშია. ესლა გენ. კუროკის სულ მცირედ 150 — 160 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს. იაპონიის პირველ არმიის პირდაპირ მანჯურისის პირველი არმია მოქმედებს გენ. ლინევიჩის უფროსობით.

\* \*

როგორც ვიცით, ნამდვილ ჯარში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახობას შემწეობა უნდა მიეცეს, მაგრამ, ამ შემწეობის მიღება ძალიან ძირს და აი, ბესარაბიის გუბერნიაში, იზმაილის მახრაში დედაკაცების „ბუნტი“ იყო, რად არ გვაძლევთ გადაწვევითი დახმარებასა.

მღელვარება ისე გაიზარდა, რომ გაწვეულ სა-თადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დახმარების მო-საწყობად ვიცე-გუბერნიატორი წავიდა ადგილობრივ და აუცილებელ საჭიროებამ დაინახა, რომ აღარ დაეცადა სამინისტროს ნებართვისათვის რე დაუყოვნებლივ დაერიგებინა თვენახვერის შემწეობა (10 ათასი მ.) ხალხის გამოსაკვებად გადადებულ თანხი-დან. ეს ამბავი მიუვიდა შინაგან საქმეთა სამინის-ტროს და მან დღევნაობით მოითხოვა ცნობები, თუ როგორი სუბსიდიან საჭირო იზმაილის მახრისათვის. ერობის ცნობებიდან სხანს, რომ ახალ წლამდე სულ უკანასკნელი 21 ათასი მანეთია საჭირო.

ომის ხარჯი განუზომელია, მაგრამ ცოტა ფუ-ლი არც იმას მოუნდება, რომ უკიდურეს შემში-ლისაგან იხსნან ჯარში გაწვეულთა უმწეო ცოლ-შვილი, თუ, რასაკვირველია, ამ ხსნას ეცდებიან.

და რომ ჯარში გაწვეულების ცოლ-შვილი უკიდურეს მდგომარეობაშია, ამას „ნონოვ გრემია“ ს (10314) კორესპონდენტის ვეღარ მალავს.

დადგა ზამთარიც, ვინც პური გალესა, მიძღა-რი და დამშვიდებულა, მაგრამ ჩვენი საბარალო სალდათის ცოლები-კი, რომელთა ქმრები დიდხინია ომის ველზე არიან, სულ დარბიან და ეძებენ რა-

ღაც „სიმართლე“-ს, რომ ოჯახი არ დაეგრეს და ბავშვები გამოკვებოს. ასეთ მდგომარეობაშია ისინიც კი, ვისაც ნათესები ჰქონდა. ამათ ხომ პური მიანიც უნდა ჰქონდეს საკმარისი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამათაც ისე, როგორც სხვებს, გადასახადებსა შემშილოდას დროს ხაზინიდან მიღებულ სესხს სთხო-ვენ... „გადასახადი შემოიტანეთ სალდათის ცოლე-ბო, გადასახადი“-ო, იძახის მთავრობა. „აბა საიდან მოვიტანოთ, ბატონებო: ქმრები ომშია და, რაც პური მოგვივიდა, თქვენც თვითონ ხედავთ“-ო. „ეგ ჩვენი საქმე არ არის, ნაბრძანებია და უნდა მოიტანოთ გადასახადი“-ო, ეუბნებიან... თვალ-ცრემ-ლიანი და მწარე ფიქრებში გართული ბრუნდებიან სალდათის ცოლები სახლში და ერთი ხზოს ყიდის. მეორე ღორს და მესამე უკანასკნელ ძროხას, რომ საჯაროდ არ გაუყვიდნ. მეორე დღეს სალდათის ცოლები უტოვებენ მეზობლებს თავიანთ წერის შვილს და მირბიან მღვდელთან, მასწავლებელთან ან ქალაქში ნაცნობ მოხელესთან და ვაჭართან სამარლის საქებრად. ყველა გრძნობს, რომ სალდა-თის ცოლები მართლები არიან, მაგრამ ვერას შევ-ლიან...

\* \*

ბირის სამაზრო ერობის ხმოხანს ი. ჟუკოვსკის წარუდგენია საინტერესო მოხსენება საგლეხო კითხვის შესახებ. ამ მოხსენებაში უფრო საინტერესო მომხსენებლის საზოგადო მოსაზრებანია, სხვათა შორის, ბ. ჟუკოვსკი ამბობს:

„არ უნდა დაგვიწყვიდეს, რომ მხოლოდ რიგზე დაყენებული დაწესებულებანი ზრდიან ხალხს. საე-რობო დაწესებულებანია ამის დამამტკიცებელი საბუთი და ჩვენი ბრალი არ არის, თუ ენერჯის საქმეზე კი არ ვებარჯავთ, არამედ სხვა და სხვა შემამფრებელ გარემოებათა წინააღმდეგ ბრძოლაზე. ძნელია მუშაობა, როცა განხეთქილება და უნდობ-ლობა გამეფებული. ჩვენ ყოველ წელს ეშუამდგო-მლობთ, რომ, აჩქარებულად შედგენილი კანონ-პროექტების თაიდან ასაკილებლად, ის განზრახვი-ნი, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას ეხება, ჯერ უნდა გადაეცეს განსახილველად ადგილობრივ საე-რობო დაწესებულებათ და მოსმენილი იქნას დანი-ტურესებულ, ერობის ნამდვილ რწმუნებულების აზ-რი... რომ კანონი ნამდვილი კანონი იყოს, საჭი-როა არა მარტო მისი გამოქვეყნება, არამედ ისიც,



რომ ეს კანონი ცხოვრებაში შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვსთესავთ უკანონობას და არა სამართალსა და წესის გარანტიას. ამიტომ ისევ აღვძრათ შემამდგომლობა, რომ მოისმინონ ჩვენნი გულწრფელი პატრონისანი აზრის საღებებო კანონმდებლობის გადასინჯვაზე, დავამტკიცოთ, რომ სარულ-საკოვან ავართ და შეგვიძლია გონივრულად მოვეპყრათ ჩვენ შინაურ საქმებს; იქაპდე ნუ მივიღოთ, რომ შემდგომი გვრცხვენადეს ჩვენისავე სიმძღმლისა და სიჩუმისა, როცა უნდა ხმა ამოგვეღო.“

რუსეთის ყოველ კუთხეში გაისმის ასეთი სიტყვები, გამაზნეველები და იმედის მომცემი. ვნახოთ რა იქნება.

\* \*

საუბარო ინგლისელ მაგნატთან. ფრანგულ გაზ. «პარიზი»-ს კორესპონდენტს ცნობილ მოგზაურ ჯორჯ ლინჩთან უსაუბრნია, ლინჩს ყველა უკანასკნელ ომში მიუღია მონაწილეობა, ესლა რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც მანჯურიაში წასულა, ლიაოიანის ბრძოლის დასწრება და იაპონიის და რუსის ჯარი ახლოდან უთვალღირებია. ლინჩის აზრით, იაპონელები შესანიშნავი მეომრები არიან; მათი ჯარი მშვენიერადაა გაწვრთნილი და აღფრთოვანებულია საესე. რუსებიც მეტად მამაცები არიან, მაგრამ აღფრთოვანება აკლიათ. მთავარ-სარდლები იაპონელებსაც და რუსებსაც კარგები ჰყავთ.

კორესპონდენტს უკითხავს, იაპონელებმა იციან ხელოვნებაო. ლინჩს მიუგია, მშვენიერად იციან და კარგადაც არიან მომზადებულნიო. ჩემის აზრით, ყველაზედ შესანიშნავად იაპონელებს სასანიტარო საქმე აქვთ მოწყობილი. წინანდელ ომებში ხუთის კაციდან ოთხი კაცი ავადმყოფობისაგან კვდებოდა და ერთი ქრილობისაგან. იაპონიის სამხედრო ექიმებმა ის ოთხი კაცი პირიდან გამოპოვლიჯეს ავადმყოფობისაო.

კორესპონდენტს უკითხავს, როგორ გგონიათ, როგორ წავა ამას იქით ომის საქმეო. ლინჩს უთქვამს: ფვიქრობ, რომ იაპონელები ამ ზამთარშივე აიღებენ მუკდენს და იქ უშიშრად დაბინავდებიან. წელს მეტად კარგი ბრინჯის მოსავალი იყო და იაპონიის ჯარს შიმშილისა არ ეშინიან. იაპონელებს მანჯურიაში დაქვარა სულაც არ უღვეთ გულში. თუმცა მანჯურია ძლიერ მდიდარი ქვეყანაა, იაპონელები ზავის ჩამოვლდების შემდეგ, ბენც ჩინეთის დაუბრუნებენ.

ლინჩის აზრით, ომი იაპონიის გამარჯვებით დასრულდება, თუმცა რუსები მეტად გულადან იბრძვიან, მაინც დამარცხდებიან, თ მორიგებაზე მოლაპარაკებას არ დაიწყებენ. მომავლ იენისში იაპონელებს მილიონამდე ჯარი ეყოლება მანჯურიაში“.

ამერაქელის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტრ.“-ში დაბეჭდილია წერილი ვინმე სპენსისა, რომელიც ამბობს: ესლა ისეთი დრო დადგა, რომ ჰუმანიზმისა და მთელ ქვეყნის ვაქრობის დასაცველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ღ ინგლისმა რუსეთს უნდა გამოუცხადონ, რომ ესლადღელი ომი მოსპოს, თორემ ინგლისი ღ ამერიკა იაპონიის მხარს მისცემენ და თავიანთ აუარებელ ფულითა, ჯარით და ფლოტით დაეხმარებიან. რუსეთმა თვითონ დაიწყო ეს უსამართლო ომი და წააგო კიდევაც, რუსეთი ომის დაწყების პირველ დღიდან უკანასკნელ საშინელ ბრძოლამდე ზღვაზედაც მარცხდებოდა და ხმელეთზედაც და უკვე დაამტკიცა, რომ იაპონიისთან ბრძოლა არ შეუძლიან. დღვის იქით ომი მიხლოდ მგეტი და უნაყოფო სისხლის ღვრა იქნება. ამბობენ, რომ, თუ ინგლისი და ამერიკა იაპონიის მიემხრობიან, გერმანია და საფრანგეთი მაშინვე რუსეთის მხარეს დაიქვერნო. გგონია, რომ ეს შეუძლებელია, —ამბობს სპენსერი,—მაგრამ შესაძლებელიც რომ იყვის, სულ ერთია, გერმანია და საფრანგეთი რუსეთს ბევრს ვერას უშველიან: რუსეთს ომისათვის საჭირო მასალა ესლაც აქვს და ჯარიცა ჰყავს, მაგრამ ამ მასალისა და ჯარის ვაგზავნა ბრძოლის ველზე არ შეუძლიან. გერმანიამ და საფრანგეთმა თავიანთი ჯარი იმეგ გზით უნდა გაგზავნონ, რა გზითათ რუსეთი ჰგზავნის. ინგლისის თავის ფლოტი გერმანიისა ღ საფრანგეთს გზას სულ შეუკრავს, ამერიკა კი თავის ზომალდებით იაპონიას ყოველივე საჭირო მასალის მიაწოდებს და, თუ საჭირო იქნება ამერიკიდან იაპონიაში 250,000 ვაისუსუდლ მებრძოლის გადაყვანა დაარწმუნებული ვარს, რომ ერთ თვის ომში წასვლის სურვილს 500,000 კაცი გა მოაკხადებდა. თუ გერმანია და საფრანგეთი შორეულ აკმოსაღლეთში თავიანთ ჯარის გადაყვანას გემებით მოისურვებენ, ამერიკის კრეისერებს შეძლება ექნებოდათ ყველა ტრანსპორტი ან დაეტყვევებინათ, ან ჩაეძირათ, მაშასადამე, რუს





სეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას, ინგლისსა და ამერიკასთან ბრძოლა არასუსთ არ შეუძლიანთ. ეს ძლიან კარგად ესმით რუსეთსაც, საფრანგეთსაცა გერმანიასაც. ინგლისმა და ამერიკამ რუსეთს რომ ამ გვარი ულტიმატუმი გაუგზავნონ, ომი ხელავე გათავდებოდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისსა და ამერიკის ამგვარ ქცევას ამერიკელები თანაგრძნობით მიეგებებიან. (3. ვ.)

\* \* \*

„ნოვოე ვრემია“-ს სწორენ ჩიტიდან: სალდათებს მანჯურიაში ხან-და-ხან მავნებელ შინაარსის წიგნაკებს მიუგდებენ ხოლმეო.

იმავე გაზეტის დებეშით ატყობინებენ ხარბინიდან: ამას წინად დაიწვა წითელ ჯგრის დიდი საწყობი № 5. თუმცა მთავარ-სარდალმა ბძანება გასცა, სამხრეთში პური აღარაიენ გაიტანოსო, მაგრამ აქაური ჩინელები მაინც ეხიდებთან სამხრეთში პურსა.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბატონი კლიპკოვი იუწყება მუკდენიდან: მუკდენის ვაზალთან პოლკოვნიკმა ლიუჩუხენმა—ჩინელია, რუსებს ემსახურება—ერთი ჩინელი დაატუსადა. ამ ჩინელს რუსის საწყობებში ვაგონის გასაღებები და 500 ფუტი ბიტფორდის ზონარი მოეპარა. ბიტფორდის ზონარს წაღმებსა და ფუგასების ასაფთჱქებლად ხმარობენ.

